გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 35

2024 წლის 11 მარტი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ საქართველოს სამარიტელთა კავშირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს სამარიტელთა კავშირის 2023 წლის 21 დეკემბრის N 23/015 წერილის საფუძველზე დადგა საკითხი, ქალაქ გორში, ბარნოვის ქ. N10ა-ში მდებარე (ფართი 64,40კვ.მ) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ორ წლიან უზუფრუქტის ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა. ა(ა)იპ საქართველოს სამარიტელთა კავშირი 2014 წლიდან გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს „ხანდაზმულთა შინმოვლის" პროექტს. წერილში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციამ პროექტის ფარგლებში მოიძია დამატებითი სახსრები და ყველაზე მოწყვლად 25 ბენეფიციარს დაურიგა საკვები და ჰიგიენური ნივთები. საქართველოს სამარიტელთა კავშირმა პარტნიორი ორგანიზაციის ASB საქართველოს დახმარებით, პროექტში ჩართულ ყველა ბენეფიციარს (67 ოჯახს) გაუწია ფულადი დახმარება ნოემბერის და დეკემბერის თვეში კომუნალური ხარჯების ანაზღაურების მიზნით. ა(ა)იპ საქართველოს სამარიტელთა კავშირი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს პროექტებს: „ბავშვთა ადრეული ინტერვენციის სერვისს" და „საკვების მიწოდების სერვისი გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველ პირთათვის". 2023 წელს საქართველოს სამარიტელთა კავშირმა, გორის შინმოვლის გუნდი და ადრეული ინტერვენციის ყველა სპეციალისტი გადაამზადა, ჩაუტარა ექიმამდელი პირველადი დახმარების სწავლება და გადასცა საერთაშორისო სერთიფიკატები.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, ა(ა)იპ საქართველოს სამარიტელთა კავშირს უსასყიდლოდ სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, ქალაქ გორში, ბარნოვის ქ. N10ა-ში მდებარე შენობაში პირველ სართულზე არსებული ფართი: 64.40 კვ.მ. საკადასტრო კოდი N 66.05.17.125.01.503.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს სამარიტელთა კავშირს (ს/ნ 404391163) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, ბარნოვის ქ. N10ა-ში მდებარე შენობაში პირველ სართულზე არსებული ფართი 64.40 კვ.მ. საკადასტრო კოდი N 66.05.17.125.01.503;

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე